

სასოფლო-გაზეთი

გაზეთის ფასი:

გაზეთი ტილისში და გარეშე ადგილებში:	გაზეთი ენკლავში:	
ქრისტეწობისა — 7 მან.	— 6 —	
ნახევრის წლისა — 4 —	— 3 —	50 კ.
სამ სთვისა — 2 მ. 50 კ.	— 2 —	

პირველი წელიწადი

ბაზალის სამშაბათობით.

ხელის-მარწერა მიიღება:

ტილისის „სასოფლო-გაზეთის“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და ქაპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, თ. შებენიანის სახლში, პოლიციის ვეჯრით.
ტილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: ВЪ Тѣлѣстѣ, въ конторѣ редакціи, СЕЛСКОЙ ГАЗЕ-ТЫ, при типографіи Медикова и К-о.

შვედ ვეკრი განცხადებანი სასოფლო-სასამართლოებისა და აგრეთვე ვლახებისა დიბუქება ფუხსით, და უნდა გამოიგზავნოს გაზეთის კანტორაში, რომელიც იმყოფება ტილისში, მელიქიშვილის და ქაპ. სტამბაში.

№ 8. სამშაბათი.

I.

23 აპრილს 1868 წ.

შინდარსი:—აბრეშუმის მოყვანაზე.—სახალხო მელიქინა (მკურანლობა):—მისტი (თავალი თეთრი).—რქიანი საქონლის ავადმყოფობა, რომელნიც არც გადამდებნი არიან და არც შესაყურდნი.—მიზოყვლენი ინგლისაგან. საანგარიშო კონდა, ანუ პირველ-დაწყებითი არითმეტიკა.

აბრეშუმის მოყვანაზე.

მინ არ იცის, რომ აბრეშუმი ყველა გეოგრაფიკულად უფრო დიდს პარტიის-ცემაშია; ვინ არ იცის რომ ყველა თავიანთივე და შემძლეველი, თუ მუდამ არა—დღესასწაულად დღესა და სტუმრობაში მინც ყოველთვის აბრეშუმს იცემა, და შეუძლებელსაც საგარეო და სადღესასწაულო საცემლი რამე; წმინდა აბრეშუმისა თუ არა—აბრეშუმ ნარევი ფარისის ხომ უფროთა აქეს. აგრეთვე ვისაც აბრეშუმის ტანსაცემლი აცემა იმას ყოველთვის უმეტესს პარტიასაცემენ, ვიდრე ჩითის ან შალის საცემლიანის, თუმცა ზვიერჯერ მოხდებდა ხოლომე, რომ ზოგიერთი ჩითისა ან შალის საცემლიანი უფრო მეტი პარტიის ღირსია, ვიდრე ზოგიერთი აბრეშუმიანი. ამ გეგარად აბრეშუმს დიდი პარტია და ღირსება აქეს ხალხისაგან. აქველა მდიდარი აბრეშუმს ეტანება, ყველა დღესასწაულში აბრეშუმი იჩენს ხოლმე თავს თავის შრიალით და ვისაც თავის მოწონება უნდა—აბრეშუმში იქმანება. ზოგი იფიქრებს: ეს იმიტომ არისა, რომ ხალხი მოკლეულისა თვის საყოთარ, შინაგანს ღირსებადა და ამასთან ისეთი თავის მოყვარებაცა

აქვსა, რომ მსურს უფროდ ყველამ შეამცნოს ის, ყურადღება მიაპყროს და პარტია სცესა; ამის გამო გარეგანი, მიკრული ღირსებით (თუ კი შეუძლიან ტანისამოს კაცის ღირსება შეადგინოს) იზიდავს სხვების ყურადღებასა და ამით ატეობს თავის ცრულ-ღირსებასა. არ ვიცი, მაგრამ აბრეშუმი პარტიასცემია და სასარგებლო, რადგან გამძლეც არის და სუბიუქი სატარებელიც; რადგანც კაცს გამძლე ტანისამოს ატეო—იმდენი ტანისამოსზედ ცოტა ხარჯი მოჰსდის და რადგანც სუბიუქი—იმდენი იმის ტანიც ცოტა ტერისთა ჰკრანობს და მიხვარა მოხვარც უადვილდება; ამის გარდა ზაფხულში აბრეშუმის ტანსაცემლი ძალიან კარგია ტანისთვის, რადგან გრილია და ტანსაც არ ჩახსურებს.

როგორც აბრეშუმი, ისე აქ აბრეშუმის მომქმედნი (მკეთებელი) ჰქაც პარტიასცემია, რადგან, ჯერ ერთი, კარგი ქსოვილის მასალა უმზადებს კაცს და, მეორე, აბრეშუმის მომყვანს ამდღერებს. ამის გამო არ იქნება ცუდი, რომ აქ მოკლედ ვსთქვათ აბრეშუმის ჰქის ვინაობა და ამაგი.

აბრეშუმის ჰქას დიდი ხანია გამოუჩენია თავის სარგებლობის მომტანი თავი. როგორც ბევრნი ამბობენ, პირველად ჩინეთში გამოჩენილა, საიდანაც ჩი მოდის. ჩათვან თუთის ხე ჩინეთში ისე ველურად (ტყეებში) იზრდება, როგორც ჩვენში მუხა და წიფელი, და რადგან სადაც თუთა—იქ უფველად აბრეშუმის ჰქაც იქნება, ამისათვის უნდა ვთქვათ, რომ, რომ ჰქია იმავე თავითვე ყოველთა ჩი-


ნეთში, თუმცა კი იმავე თავითვე არა სკოდნით ჩინელებს იმის სარგებლობა და მოქმედება.

ღროს-განმავლობით ჩინელებს დაუწყევა ტყეში, ხის თუთებზედ, ჰქის პარტიების მოგროვება, კეთება, მსელება და აბრეშუმის ფარების ქსევა და ხმარება. შემდგომ ეს ჩვეულება უფრო და უფრო გახშირებულა იმათში, და ზოლოს, შრისტეს შობამდე ორი ათასი წლის წინად, იმპერატორი ლანდლის მეფობაში, ამის ცოლს სილინ-შის, უნახავა რა, რომ აბრეშუმის ჰქას ისეთი სარგებლობა მოაქეს ხალხისთვის, უბრძანებია სახლებში შეტანა ჰქისა და იქ მოეღა. ამ დროდგან აბრეშუმის მოყვანა ძალიან წინ წასულა ჩინეთში და ეხლა მთელი ჩინეთის ნახევარ სიმდიდრეს აბრეშუმი შეადგენს. ამის გამო ეხლაც სილინ-შის ჩინელები დიდს პარტიასაცემენ და მიანიათ აბრეშუმის მოყვანის დამართად. (*)

ჩინეთის მახლობელ ქვეყნებშიაც, ინდოეთში და იაპონიაში იმ თავითვე ყოფილა აბრეშუმის ჰქია, მაგრამ მერაპაში (**) კი არა. აქ გადმოუტანიათ ჩინეთიდან ათას სამასი წლის

(*) ჩინელები წარბაზებით არიან და მრავალი დამართები სწამთ.

(**) მერაპას ეტანათ მთელი ქვეყნის მებუთე ნაწილს, რომელშიაც არის შემდეგი სახელწოდებები: რუხეთი, საფრანგეთი, ინგლისი, ნემცეეთი, იტალია, სპარსეთი, ნახევარსახალეთი და კიდევ სხვა პარტია სახელები.



წინად. მრისტეს შობილდან ყუთასი წლის შემდეგ არი ბერძნის ბერი წასულა ჩინეთში მრისტეს სარწმუნოების საქადგებლად და იქ დიდხანს ყოფილან. იქ ყოფნაში იმათ აბრეშუმის კეთება უსწავლიან და რიცა წამოსულან უკან, თავიანთ სამშობლოში, ხუთას ორმოცდა თხუთმეტ წელში მრისტეს შობის შემდეგ, თან მოუტანიან მოპარული ჰიის თესლი, რომელიც თავიანთ ყაფარჯნის თავებში დაუტმალაეთ. მურდულად იმისთვის წამოუღლიან, რომ ისე ეერ შვიდობდნენ, რადგან ჩინელებს ჯერ ესლაც (და მაშინ ხომ უფრო) ისეთი ხასიათი სჭირს, რომ თავიანთ ცოდნას არაეისა არ გაუწილებენ, როგორც ზოგიერთიმა ტრუ აქიმებმა იციან ჩვენში, რომ თავიანთ აქიმობას არაეის არ ასწავლიან და საფლავში ჩაიტანენ ხოლმე თავის ჯანაოქოსას. ჩინელებსაც ესეთი ხასიათი სჭირს, და რომ გავგობთ ბერძნის ბერებისთვის ჰიის თესლის წამოღებას, უთოოდ დაშპოცდნენ იმათ და ვინიციას სახრიზბელაზედაც ჩამოცხრიათ, როგორც ავაზაკები.

მას აქეთ მკრანაშიაც, სადღე კი ხეირობას თუთის ხე, უფრო სახმრეთისაგან, გაუჩნებია აბრეშუმის ჰია და უკეთებით აბრეშუმს. ჩვენშიაც უტყველია ძალიან დიდი ხანი უნდა იყოს, რაც ჰია მოპყაეთ და აბრეშუმს აკეთებენ, რადგან თუთა ჩვენშიაც ძალიან ხეირობს და ზოგან ტყეებშიაც არის. თუმცა შვიდობა ფიუჭორო, რომ ჩვენში, საჭრთიელოში, დიდი ხანია მოპყაეთს აბრეშუმს, მაგრამ აბრეშუმის მოყენა ისეთ მკრე ხარისხზედა სდგას, როგორც ყველა სხვა მოსავლის მოყენა. სხვაგან, მაგალითად: საფრანგეთში (შარსკიაში) იტალიაში და ყველგან, სადაც კი თბილი ჰავაა და თუთა კარგად ხეირობს, ჰიაც კარგა იზრდება და აბრეშუმს ბევრი მოდის; და ზოგიერთგან აბრეშუმს იმდენი მოპყაეთს, რომ მთელი მხარის საცაქროსა და სიმდიდრეს მარტო არ შეადგენს. თუ ჩვენშიაც მოყენენ და იმათსეით მოიყენეს აბრეშუმს, შეიძლება მოველოდოთ, რომ ჩვენს ქვეყნის სიმდიდრეც, ადრე იქნება, თუ გვიან აბრეშუმს იქნება. ჩვენშიაც აბრეშუმის სასარგებლო ჰავაა, და თუთის ხეც ძალიან ბლომად არის—მაშ იმის მეტე აღარ გვაკლიარა, რომ შრომა მოვახმაროთ, კეთება ვისწავლოთ და ჰია მოიყენებოთ. ძახეთსა და იხერეთში ბევრს მოპყაეთს, მაგრამ ისევე ძველებურად. მ.მ. პაუზრად, და ამის გამო გამოსავლი

იმდენი არა აქვს, რომდენიც შეიძლება ჰქონდეს. თუ ჩვენშიაც მიჰპაქეს სხვა ქვეყნის კარგ მკეთებლებს, მაშინ უტყველია იმავე შრომათა და ხარჯთ, რასაც ესლა ანდომებენ ერთი ორად მეტ მოსავალს აიღებენ და ათჯერ უკეთეს ძაფსაც დაქსიყენენ. ამისგამო აქ აწეწოთ, თუ აბრეშუმის ჰიას როგორ უფლიან სხვაგან და აბრეშუმსაც როგორ აკეთებენ და ჰქსიყენენ.


ა ბ რ ე შ უ მ ი ს თ ე ს ლ ი დ გ ა ნ ჰ ი ი ს გ ა მ ო ყ ე ნ ა ა .

შეგლამ იციის, რომ როდესაც ბუნებისგან საქმელი დამზადება ჰიას, ესე იგი როდესაც თუთის ხე შეიფოთლება, მაშინ თუთის ხეების აბრეშუმის ჰიაც გამოევა ხოლმე თავის კვერცხიდან; ამის გამო ყველა აბრეშუმის მომყენაში, შინაც მაშინ უნდა მოიყენავს ჰია, როდესაც საქმელი გაუწდება, ესე იგი როდესაც თუთის ხეები შეიფოთლება. ჩვენშიც დრო სწორედ მაისის დამდეგში არის. ამ დროს ჰიის თესლი უნდა ოთახში შეიტანონ და იქ სუფთა ქალღმრედ გაფინონ; ოთახი უნდა გათბონ, და ამასთან რამდენიც დღე გაივლას, იმდენი უფრო და უფრო მოაუჭებოს სითბოს; მაშინ ხუთი ან ექვსი დღის შემდეგ თესლიდან გამოვლენ წენიკი, მუქიფერისა და ბუსუსიანი ჰეები. ზეების თესლიდან გამოვლენა სულ ერთად არ მოხდება ხოლმე, არამედ გავრბობდება ოთხს ან ხუთ დღეს; ზერ პირველ დღეს სულ ცოტა გამოევა, მეორე და მესამე დღეს თითქმის სულ და მეოთხე და მეხუთე დღეს კი დანარჩენი. აბრეშუმის ჰია გამოადის თესლიდან ყოველთვის დიდიით ოთხი საათიდან—ათ საათამდის. რა წამს ჰეები დაიწყებენ კვერცხიდან გამოსვლას, მაშინვე ზედ თესლზედ უნდა გაუფინონ თუთის ნორჩი ფოთლები; ჰეები ამ ფოთლებზედ დაიწყებენ ცოცხას და ჰამას. მაშინ ეს ფოთლებს უნდა აიღონ ჰეების და სხე ფურცლებზედ გადიონ (ფურცლები ქალღმრედისი უნდა იყოს). ხ.ნ და ხ.ნ ამ ჰეებს ხელით აიღებენ ხოლმე; და ფოთლებზედ ისე სხმენ—ეს ძალიან ცუდია, რადგან ჰია ჯერ ნორჩია და აუყენის დროს ხელში დაისრისება და გაფუტდება (ავადმყოფობა დაემართება). მეორე მესამე და მეხუთე დღეს რომელი ჰეებიც გამოვლენ—ისინი უნდა შეინახონ და რომდენიც პირველსა და მეხუთე დღეს—ისინი კი უნდა გადაყარონ, რადგან ვადის დროს

ან ჩქარა იზრდებიან, ან გვიან და ამის გამო იმათი მოვლა სახრიზბო არ არის.

ა ბ რ ე შ უ მ ი ს ჰ ი ი ს ჰ ა ნ ი ს გ ა მ ო ყ ე ნ ა და ზ რ დ ა .

შეგლამ ცხადველი წელიწადში ერთხელ გამოიციელის ხოლმე ზოგიერთ პირ კანს ან ბალანს, ბუმბულს, ქერქს და სხვ. მაგალითად: გველი—ქერქს იციელს, ცხენი ბალანს, ფრინველი ბუმბულს და სხვ. თუმცა აბრეშუმის ჰია სულ ერთ თვისა სცოცხლობს, მაგრამ ამ მკრე ხანში ისიც კი იციელის თავის კანს, ამასთან ზოგი თავის სცოცხლებში სამჯერ და ზოგი ოთხჯერ. აბრეშუმის ჰიის კანის გამოცემა ამ გვარად მოხდება ხოლმე: კვერცხიდან გამოსვლის შემდეგ რომ ხუთი დღე გავა, ჰეებს მადაკარგებთ, აღარ იძვრებიან ადგილიდან და თავ აღებულები არიან თითქმის მთელ დღეს ამ მტკას. ამ დროს ჰიის სძინავს და ამ ძილში იმას ეკუყვება კანს (ტყუენი). მს ტყაეის გამოცემა იმისთვის მოხდება ხოლმე, რომ აბრეშუმის ჰია ძალიან ჩქარა იზრდება და რადგან ტყაეი არ ეკუმება, ამიტომ ბატარაღება იმისთვის, სქდება და ჰვარდება; ხოლო უფროსი ჰეების სხვა ახალი კანი უტყელება, უფრო რბილი და სუფთა. რადგან კანის გამოცელის დროს ჰიას სძინავს და სუსტდება კიდეც, ამის გამო არ უნდა გადილონ სხვა ადგილზედ, რომ არ შეწუხდნენ; ცოტა საქმელი კი უნდა დაუტყაინონ, რადგან მიძინარებში იქნება მღვიძარებიც ერთენენ, და უტყელობისაგან შეიძლება გაფუტდნენ. მარგია რომ ჰიის მომყენებმა იცოდნენ, თუ რომელი ჰეები იცილიან კანს და რომდენი არა. ამის ცოდნისთვის ესე უნდა მოიტყენენ; რომელი ჰეებიც პირველ დღეს გამოვლენ, ისინი და ბინანონ ერთ ალაგას, რომ დილიტ მეორე დღეს—ისინი მეორე ალაგას, რომელიც მესამე დღეს—მესამე ალაგას, მეოთხე დღესა—მეოთხე ალაგას და სხვ. მათი სიტყეთი ყველა დღეს გამოანაჩეი ჰია ცალკე უნდა შეინახონ და ცალკე მოუტარონ; მაშინ რომ უფრო უგლან—შეატყობენ, რომ ყველა ჰია თესლიდან გამოსვლის შემდეგ მეხუთე დღეს გამოიციელის კანს. პირველი კანის გამოცელის შემდეგაც რომ ექვსი დღე გაივლოს, ჰია მეორედ იციელის ხოლმე კანს; ამ მეორედ გამოცელის შემდეგაც რომ ოთხი დღე გავა—მაშინ მესამე კანს გამოიციელის ჰია და მეოთხე კანსაც მესამე კანის გამოცელის შემდეგ ექვსი დღის უკან გამოიციელის, ოთხჯერ მეტად კი აღარ იციელის; მეოთხე კანის



გამოცემის შემდეგ ცხრა ან ათი დღე რომ გეუ. მაშინ კია ჩაჯდება პარკში და დაიწყებს აბრეშუპის ქსელვას.

აქედან ჩანს, რომ აბრეშუპის კიის სიკრცხელ გრძელდება ოცდა ათ ან ოცდა თერთმეტ დღეს. მუ კარგა მოუარეს ამხედ აღდრე დაიწყებს აბრეშუპის ქსელვას: ოცდა ოთხი დღის უკან, და მაშინ ოცდა რვა დღეზე მეტს არა სკოცხლობს. ჩამდენი კია ჩაქარა მოამზადებს პარკებს, იმდენი აბრეშუპის მოამყენისთვის დიდი მოგებაა, რადგან მეტი ხარჯისგან განთავისუფლდება და გამოსავალი კი ისე იხს აქვს. ამიტომ ყველა ზიის მოამყენს მა არ უნდა დაიწყოს, რომ ხარჯი მაშინ შეუშუბუქდება იმას, როდესაც ჰქვას კარგათ მოუყლის და საკმელსაც თავის დროს მისცეს.

ბისტი (თეთრი).

ბისტი (თეთრი) არის ცისფერი-თეთრი ან მოყვითლო-თეთრი კანი, რომელიც გადაკერია თვალის კაკალსა. ზოგჯერ ისე მოიკიდის თვალზე, რომ თვალის კილოზედაც გადაფენება. ზოგია დაბერებული დიდხნის ბისტი, ზოგი კი ახლად გადაკრულია. იმის მოსაშორებლათ უნდა დაიხსა თვალზე ნაღველა. მისაც თვალზე ბისტი აქვს, როცა დასამიწებლათ დაწვება უნდა დაიხსას ჩამდენიმე წვეთი ნაღველა და ძალიანაც რომ აქვას, უნდა ეცადოს თვალი არ დახუჭოს. დილით სივიწყლით გაიბანოს ხოლმე თვალები. ამ რიგით იწამლოს ხოლმე, მანამ სულ არ გადაუთა. ღაცლილია, რომ მესამეჯერ უფუთოთ მოსცილდება. შეეღას სჯობია ქარაყლაპა თეშის ნაღველა.

წინდა და მავარი ნაკარ-წმული ან ნაკრის ალო რომ აუჩიო რძის ნაღვში და თვალში შეიხსა ხოლმე საღამო საღამოთი ყველას ემჯობინება; ან

ძალიან სქლათ ვადღებელი, გაქნილი საპონი რომ საღამო-საღამოთი ჩაიხსას ხოლმე თვალში, ისიც ვადაცილებს ბისტსა.

ძალიან კარგია ქრისტეს სისხლაც (მცენარე), თამბაქო და მარილი, რომელებიც წმინდათ დაუხუნელი უნდა აუჩიოს ერთმანერთში და ბისტზე მოაყაროს ხოლმე.

თ ვ ა ლ ე ბ ი ს ი წ ი თ ლ ე და ტ კ ი ვ ი ლ ი.

თვალების სიწითლე წარმოსდგება თავის

ტკივილისგან, ვაციებისგან და სატკბურისგან. ხშირათ ამ ვადამყოფობისგანაც გაუწინდება ხოლმე კაცს ბისტა. ამ როგორ შეიტყობა იმის ვაქნა თვალზე. თვალის კილოები და თვალის უბეები დწითლდებათ, თვალისგან ვადმოდის ცრემლი და სინათლაცა სწყენს ხოლმე. ამ დროს თუ კაცი შეკრულია, დღემ ოთხ-ოთხი სტაქანი ჩადებული კიტრის ან კომპოტოს წვეთი უნდა ჰხვას; უნდა ჰქამოს ხოლმე მაწინი ან წაკა, კიტრი, ხილი პური და მწვანელი, კვერცხი და ხორცი კი არ უნდა მიიკაროს.

თვალი უნდა შეიხვიოს, რომ სინათლე არა მხედვებოდეს. თვალზე დაიდეს ხოლმე დანაყილი ახალი ვაშლი, ან ვათილი და დანაყილი კიტრი ან დანაყილი ახალი კარტოფილი, ან შემწვარი თბილი და მარილი მოყრელი კვერცხის ცილა; ან ხბოს ხორცი, თუ ძროხისა, ან ცხვირისა ორჯელ ყოველდღე.

ან დილით, შუადღისას და ღამით თბილი ხორბლის თვალზე დასადები. თუ ეს არა, სვლის თვლის ფქვილი რძეში მოზეილილი და სხვა.

თუ ამ წამლობამ არა უყარა, წურბლები უნდა დაიხსას კისერში, კინჩხის ძირს; ესეც რომ არ დაესწროს და ვთქვით კიდევაც დაიხსას, მაგრამ თუ არ აგრო, მაშინ პატარა ჩვირი ოთხათ შეკეცილი მღუღარეში უნდა ამოვილო, დაიდვა კისერზე, და არ უნდა მოიცილო, ვიდრე არ დასწყეს და კანი არ აგებროს. შეძილება ამის მაგიერათ იხმაროს კაცმა დანაყილი მწარე ბოლოკი, ხრენი, ან ძმარში მოზეილილი მდოგვის ფქვილი, ან დანაყილი ნორია.

როცა ამ წამლებით კანი აიბერება კისერზე და შიგ წყალი ჩადგება, უნდა გამოარწყუროს ის და დილით და საღამოთი რძის ნაღვები იწყუ ზედ. ამასთანავე თითონ ვაჭითლებულს თვალზედაც არ უნდა მოაშორა წმინათ მისენებელი რომელიმე წამალი.

ვოქტორი რეპოლსკი სწყის, რომ ბევრჯერ მიღია და კიდევ დაერწმუნებულ ვარო, რომ თვალის ვადამყოფობის დროს და სიწითლის ვაშს ჩაის წყალი ძალიან მარებელია. უნდა დასველო წმინდა და რბილი ჩვირი ჩაიში და დაიდვა თვალზე, ისე რომ ზედ ნატყენს არ შეიხოს. შუბლ საყარაზე დამაგრებული დასწლბებული ჩვირი ნატყენ თვალზე უნდა იყოს ჩამოკიდებული. თუ თვალი ძა-


ლიან უხურს და წყის, ჩაის წყალი რძეში უნდა შეუჩიოს და ისე უნდა იწამლოს. თუ პალიან სტყევა და ტეხა აქვს თვალებში, ჩაის წყლის ორთქლი უნდა შეიყენოს თვალებში, ან დროს გამოშვებით თბილი ჩაის წყლით იბანოს ხოლმე ნატყენი თვალი.

როცა პატარა ყმაწვილებს თვალები სტყევა სიწითლე არ შორდება და ჩირკი ვადმოდის, იმათთვის ჩაის წყალისთანა არა არისია. ამ შემთხვევაში უნდა გამოაცემინო ძალიან მუქი ჩაი, ვაცეცო და იმითი მობანო ხოლმე მტყეანი თვალები. თუ მტყეანი თვალები იმდენათ შორხა, რომ მზე აღარ უჯარებებ, კარგ ამინდში უნდა გამოიყენარო ხოლმე ათაპაშო და გამოსულ ხებებზე ატყეინარო. მწვანე ფოთლების ტყეკრა თვალებს ძალიან უხდება. მისაც სატკბურა სქერს, კარგ ჰაერზე მომარაბისთანა არა არისია.

წარჩინებულს მწწოლს პატარაობაზე თვალები სტყევა და არ იქნა, ვერასრით ვერ განთავისუფლდა. მართმა სახელ განთქმულმა დოქტორმა უჩიჩა ყოველ დილაზე უხმობთ სამ-სამი ვირენჯაკ წყლის სმა. ცირა ხანს შემდგ დაუწყო თითო რუქა დიდის ვარევა, ამიტომ რომ მარტო წყალი ისე მოზებურდა, რომ ეს არ ეხმარა, აღბინებდა ხოლმე. ამ წამლობით თვალის ტკივილისგან სრულეთით განთავისუფლდა. თვალების ვახსამარებლათ ძალიან კარგია, შუბლზე ხელის სმა, სავეთქლების და უჭრების სრესა. ამასთანავე თითონ თვალების ვახსანა ვაციებულ ჩაის წყლითა.

როცა თვალში ბუსუსი, ან პატარა ხივი ჩავეტირება ხოლმე, ჩვეულებრივად დივიწყებით ხოლმე თვალების სრესას; იმას კი არ დაედევთ, რომ ეს ძალიან მვენებელია და ზოგჯერ ამისთანა სრესით შეიძლება კიდევ დაეცოს თვალი. თუ თვალში ნაკლები ჩავარდნა კაცს, თვალთან უნდა მიიტანოს ანდა მათი, რომელიც მიიტაცებს თვალში ჩავარდნილს ნაკლიბსა.

როგორც კი თვალში ჩაუვარდება რაიმე ბუსუსი კაცს, მაშინვე თვალის ზედა უბე უნდა ვამოსწროს და ცხვირით ძვილ იხვიროს; ამით თვალების კილოები დაიწმრევა და ბუსუსი იქიდან გამოვარდება. ან თუ არა, აი როგორ უნდა მოიქცეს. მისაც უცედა, უშეკველათ ეცოდინება, რომ პატარა ლაქის ნატყეხი რომ ჩიხანზე წაუსვას, შემდეგ ეს ლაქა-



პატარა-პატარა ხიჭებს (ხიჭებს) მიიტაცებს ხოლმე, მარცვც ავრვა. თუ თვალში ხიჭი ჩაეარინა კაცს უნდა აიღოს ღაქა, ან ქარვა, წაუსოს ჩოხაზე და მიტანოს თვალთან ახლოს. ის მიიტაცებს ხიჭსა და თვალს განთავისუფლებდა.

ჩამინი სამონლის მომუშანი (სამართლ) ახადმოფოვა, რომელიც არც გადადებინ არინა, არც შესაძარნი.

სისლ-მორაული რამი.

ეს ავადმყოფობა უფრო ხშირად მთელს ნახირს დაემართება ხოლმე უცხოცი. ჩნდება უფრო ზაფხულის გვალვების დროს და აგრეთვე შემოდგომაზე და გაზაფხულზედაც.

ამ სენის ნიშნები და მსვლელობა.

ამ სენით ავადმყოფი საქონელი შფოთიანობს, ზარმაცად იცოხნება, წყურვილს იჩენს, ჩვეულებრივზედ ხშირად გადის შარბზედ და სიარულის დროს უკანა ფეხებსა მხლართავს; ცუბი უსიძდება, ძუძუებიდამ ლურჯი ან მოყვითლო, მწკრივ გემოსა და სისხლის ზოლებიანი რძე გამოჰდის; ხან და ხან ისიც მოხდება ხოლმე, რომ სრულებით სისლ-მორაული რძე თვითონ დაუწყებს ძუძუებიდგან დენას.

როგორც გამოკიდლებამ გვაჩვენა, ეს სენი ემართება ხოლმე ძროხებს სხვა და სხვა მწყურნარი ბალახის ჭამისაგან, მაგალითად: ცხვირის-სატეტელასი, რძიანასი (ძარნოტისა), ჭობის მტყე ბალახებისა და სხვათა.

ზაფრთხილები და წამლობა.

ეს სენი არ არის ცუდი თვისებისა, არც მომაკვდინებელია, თუ პატრონებმა რიგიანად მოუყარეს და თავი არ მიანებოს, ან, რა უფრო უარსი, თუ უმეტარი ექიმების რჩევით ავადმყოფს საქონელს სხვა და სხვა ცხარე, მწვანი წამლები აძლეს, მაგალითად: პილილი, თამბაკი, არაყი და სხვ. ამ გვარი; ამისთანა წამლობისგან საქონელს ავადმყოფობა ყოველთვის უნძიდდება, და ცუბრიდამაც მხოლოდ სისხლიდა გამოვიდნება, ბოლოს დაემართება სათლიჯამი და მოკვდება. მოსარჩენად აი ეს წამლობა არის კარგი და, როგორც ნაცაღია, ყოველთვის მომარჩენი;

როდესაც ეს სენი გამოაჩნდეს საქონელს, მაშინვე საძოვარი უნდა გამოუცვლიან;

თუ საძოვარს გამოკლია შეუძლებელია მიდგის უკანდლობისაგან, მაშინ საქონელი გამოში უნდა შეინახონ—სულ ცოტა—ორი კვირა მიანდ. ამასთან უნდა აიღონ ერთი ბოთლი სელის თესლისა და ზაღის ძირის ნახარში, გაურიონ შიგ სამი მისხალი წმინდად დანაყოლი გვარჯლა და თითო ავადმყოფ ძროხას დღეში სამი ბოთლი დააღვინონ.

დსივებულ ცურხდ უნდა ზეთიანი, ან სხვა ზეთი წყუსვან, ან თუ არის კარაქი—ეს უფრო კარგი იქნება. შიგვედ დღე უნდა მოწყვილო; თუ ავადმყოფობა გაუძენდეს და ძროხაც გამჟღევდეს, მაშინ უნდა ერთი ბოთლი ტრიფისა, ან ზუხის ქერქის ნახარში აიღონ, სამი მისხალი რკინის შაბიამანი და ათი მისხალი წმინდად დანაყოლი ქაფური გაურიონ და დღეში სამი სტაქანი ასვან. საქმელად ფეხვის სასვლევადი უნდა მოუშალონ ხოლმე და ზედაც მარლი მოუყარონ.

სისლ-მორაული შარდი.

ეს მომუშენი სენი უფრო ხშირად გაზაფხულზედ გამოჩნდება ხოლმე და ერთხანად მრავალ ძროხასა და ცხვარსა მჰრავებს. ესედი თვისებისა არ არის, არც მომაკვდინებელია და, თითქმის ყოველთვის სისლ-მორაული რძის დროს დაემართება ხოლმე, —სანდლობ იმ დროს, როდესაც ფეხვი ყვევის, ან ნახირი მუხიანი ტყის ახლოს სძოვს.

ამ სენის ნიშნები და მსვლელობა.

ავადმყოფი ძროხა წაბლა-უწამ იტუხება, წეის ტყიელს იჩენს და საქმელსაც არა სკამს; სიარულში ძალიან იზღაზნება, მტადრე უკანა ფეხებს მიმიტება და ძნელათა სდგამს; რძე აკვდება და ფლართობა ემართება ხოლმე. შარბზედ ხშირად გადის, მაგრამ ცოტ-ცოტაზედ, და ამასთან სისლ-მორაული ზედაც ხან-და-ხან შარდი სწევთავს ხოლმე, და ამ დროს საქონელი იმანკება და კენსისი. ეს ავადმყოფობა საშინო არარის, თუ უფრო უფვდეს, და მოხდება ხოლმე იმისგან, რომ საქონელი სხვა და სხვა მწვანე, მწყურნარ ბალახს შესკამს. ამ სენმა ხუთ ან რვა დღეს იცის გაგრილება და თუ არ უწამლეს თიფებსა და წელიწადებსაც გაგრილება და ბოლოს სიცილითადა მარჩნება.

ზაფრთხილები და წამლობა.

ამ სენიან საქონელს უნდა მშრალი საძოვარი აურიონ, რომ ჭობიანი არ იყოს; მუ-

რუნისა, თელისა და მუხის ფოთლების ჭამა უნდა დაუშალონ. საქმელად უნდა მარლი-მოყრილი ფეხილის საღაფვი მოუშალონ. წამლადაც ეს უნდა ახმარონ: ერთი ბოთლი კანაფის თესლის რძე, სამი მისხალი გვარჯლა, ათი მისხალი ლენცოვა ზაღის უნდა ერთად აურიონ და ორ საათში ერთი სტაქანი ასვან. ძულუსუნი დღეში სამჯერ ცივი წყლით უნდა დაუსველონ.

ჩამინი სამონლის მომუშანი შვითავისა-ბან ცხელბა (სარდო).

ეს მომუშენი სურდო რქიან საქონელს ყოველ წლიე შემოდგომაზედ და გაზაფხულზედ გამოაჩნდება ხოლმე. უმეტესად წვიმიან ამინდში. თუცა სიხლის დროს ეს სენი არც გამოდგება და არც შესყარა, მაგრამ როცა კი დაძვილებდა და სათლიჯამათა და მყარად ყვეინად გადაიტყევა, მაშინ კარგა მყოფ საქონელსაც შეეგრება ხოლმე.

ამ სენის ნიშნები და მსვლელობა.

სურდოიანი საქონელი მორწყენს ხოლმე, ნახირს მჰორდება, საქმელს ზარმაცათა სკამს, წყურვილს იჩენს და ტანშიაც სიცხე აქვს; ნესტოების კანი უმხდება და უფითდება; გამოუსუნთქელი ჰაერი ჩვეულებრივზედ თბილი იცის. მორი დღის შემდეგ ცხვირიდამ ნახირი დაუწყებს დენას, ხშირი ხველა მოუვა და მაშინ საქონელი მოიღვინს. ამ სურდოს კეთილი თვისებებიან სურდოს ეძახიან; ამ სურდოსაგან რჩება საქონელი და არც წამლობა სჭირდება. მაგრამ ხშირად ეს სენი ბორბოტ თვისებებიან სურდოვად გადაიტყევა ხოლმე. მაშინ სამი დღის შემდეგ საქონელს დაემართება საშინელი ყვეან (ხშირად მყარალი); ცხვირიდამ დაუწყებს დენას ჭკუყვანი, მყარალი, მოყვითლო, ხან და ხან მუქი ფერი ზაღის მსგავსი სითხე, რომელიც ნესტოების გარშემო დაედება ხოლმე და არცა ზედ გახდება ქერქსა მტავს; მაშინ საქონელი ძალიან და ხშირად ახეილებს, ძნელათა მსუნთქავს და ამასთან ხერინთა და სტენით; საქმელს აღარ ეკარება, სულ წვეს და მთელი ტანითა თრთის; ყვეანა უფრო უძენდება და ბოლოს სრულებით საშინელი იქნება—კვდება. ეს ბორბოტ თვისებიანი სურდო ხუთი დღიდგან შეიძლება დღემდის გაგრილებდებოდა ხოლმე. როგორც ნაცაღია ეს სურდო



აჲ დემყოფი საქონლისაგან კარგა მყოფს ვა-
დ დება, თუ ერთ გომში შინახსი ორნივე.

მ ა ფ რ თ ხ ი ე ბ ა .

საქონელი უნდა ფართოა, წმინდა და გროლი
სადგომებში შინახოან; ნიადაგრებასა, ყინვას
და ქარს მოარიდონ; საძოვარზედ ძალიან აღ-
რე არ უნდა გამოიკონ—მეტადრე თუ ნო-
ტოა და წვიმიანი ამინდია; საღამოთი შინმი-
ჩეკელ საქონელს უნდა ნაწივით დაუხილონ
ტინ; ცხელი საქონელი არ უნდა აჲპონან, არც
თბილი წყალი უნდა ასეან.

წ ა მ ლ ო ბ ა .

სურლიანი საქონელი უნდა თბილ ადგილს
(დაბურულში კი არა) დააყენონ; მთელი ტა-
ნი ძირითი უნდა დაუხილონ ნაწივით კონებით;
მერე უნდა აიღონ ექესი მისხალი გოგირდი,
სამი მისხალი ნინადური, ათი მისხალი დიდ-
გულის ყვავილი; მერე ამით მიუმატონ ცოტა
წყალი და ფეკელი, იმდენი რომ ორი აბი გა-
კეთდეს და ეს აბები ერთი დილით და ერთი
საღამოთი ჩააყლაპონ.

ბადემყოფს უნდა შარილიანი ფეკელის სა-
სლაპე აჲპონან; ღამე ბირათი უნდა ვარც-
ლით ცხელი წყალი დაუდგონ და თანზედ რა-
მე ფლასი დახურონ, რომ ადამიანს ცხელი
ცხელი ორთქლი შესუნთქოს; თხუთმე-
ტი წამის შემდეგ ვარცლი უნდა გამოაკა-
ლონ. თუ სურდა ყვანად გადაეკეს, ან სა-
თოლჯამად და საქონელი ძალიან მოუძღო-
დეს, მაშინ უნდა სხვა ნიარად ეწამოს, —მა-
შინ უნდა აიღონ ერთი ბოთლი დიდგულით
შენკლებული არაყი, სამი მისხალი წმინდად
დანაყილი ქაფური, ოცდა ათი წვეთი სკაპი-
ბიდრის წვით (ფთვიტში იყიდვ, კარგად აუ-
რონი ერთმანერთში და სამ საათში ერთი
სტკანი უნდა დაალავინონ სენიანს. თუ ძა-
ლიან ახეილებს და ამასთან ხრინწით, მაშინ
უნდა აიღონ სამი მისხალი სასაქმებელი ქვა,
ცხრა მისხალი გოგირდის ფერი და ცხრა მი-
სხალი ანისული, მიუმატონ ცოტა ფეკელი
და წყალი, რომ ორი აბი გამოიკონ და ერ-
თი დილით ჩააყლაპონ და მეორე საღამოთი.
და რომ სხეც ბსაც არ გადაეკოს
ამ გვარად უნდა ამოიკონ ენ.

როგორც წვითა ესთვიტ, თუ სურდა ვა-
პრულად, ბოროტების ბიანად გადაეკეცა და
მაშინ ადამყოფისაგან კარგაყოფს გადაეღ-
მა ხოლმე; ამის გეშა საქონლის პატრონები
ძალიან კარგს იქმონენ, რომ ადამყოფები

კარგაყოფს დაშორონ და რაც ადამყოფი
საქონლის ახლოს ყოფილა, ვარცლი, ბაგა,
ნინებები და სხვ. სულ ნაცარტუტით ვარც-
ხონ და რაც დასაწვავია, ან ადელი გომამ-
ტებელი—დწვან. ადგილი, სადაც მიამე-
დარა სენიანი საქონელი, კარგად დაწმინდონ
და შიგ ქაჩი ამუშაონ, შედებონ და სხვ.

ამით გვათავოთ იმ მომენი ადამყოფო-
ბის აღწერა და წამლობა, რომელნიც არი-
ან შესაყარნი, გდამდებნი და არ შესაყარნი
და ემართებათ რქიან საქონელს: ხარს, ძროხას,
კამენს, ცხვარს, თხას და სხვ. შემდეგში აწე-
როთ მომენნი, შესაყარი და გდამდები ცხე-
ნის აჲდამყოფობა, და იმათი წამლობა.

მ ი ზ ი ა ლ ა ბ ი ი ნ გ ი ლ ო ბ ა შ ი .

(გარკებულა).

ჩაღათლა თხოულობენ ინგილოები არე-
რგს და ცხოვერებში გამოუსადღეს, ყროს,
ბლუეს და სხვ. მაზიყადან ქალებს შემძლე-
ბელი ინგილო აჯადღეს ქალის სათხოველით
იქ არ წევა. თუ მიღის, ისეთი მიღის, რომ-
ელი ხელნაკლებია და აქ თავის ქვეყანაში
ქალს ვერა შოულობს. თუ კი იზოჯან ოც-
რომში თუმანობით, ფულის დახარჯვას და ვა-
ლებში ჩაჯარღება, და მაზიყში ცოლის შე-
რთვას ამას ირჩევს. ამისათვის დაბალ ღობე-
ზე, ერთ ანდაზის არ იყოს, ქიზიყელები ადვი-
ლით გადავილიან ხოლმე. ინგილოები სასიძის
ქალს არ აჩვენებენ დანიშნის დროს; ქიზი-
ყში კი ის ჩეელებმა არსებობს. ამისა გამო
მას რომ გამოიყენენ გასაშინჯავით (გასაყ-
ენი ცხენი) უჩეევარს ინგილოს ძლიერ რე-
ვენით და არცკი შეხედდეს ხოლმე. პირში
თავის საცოლოს, მოყვარესი ეუბნება, რომ
ის ყაბულს არის, მოყვარეც ამ შემთხვევით
სარგებლობს და ასრე უტყებს მას: ძლიერ კა-
რგი ქალი, თქვენში გამოსადგე, ხელსაქმე
კარგი იცის; სახლის მოვლა რიგანათ იცის.
ინგილო თავის მორცხობისა გამო არაფერს
დასდევს და ეუბნება, რომ ყაბულს არის. ამ
გვართ კუთხე შეშლილი ქალები მიჩნებულ-
ელი მათთვის ჩვენს მეზობლებში ორიოდე
არიათ. ამით ღაპარაკს შნოც კი არა აქვთ;
სასაკლოთ ღულღულდებენ. ამით რომ ღა-
პარაკი დაიწყონ, არ შეძილება კაცს არ გავ-
ცინოს. მრთსაც კიდევ თვის და თვის თავზე
საგიყ მოუელის ხოლმე, რა ჩასაც მოიხი-

ლებს, ყველას ამსხერგებს. ამის ქვარი რომ
შეწუხდა მის ამ გვარ მდგომარეობით, გაისტუ-
მრა თავის სწლიდენ, მაგრამ ცოლედდით
ქიზიყელ გემა მოიყვანს და ისევე ხელმე-
რეა მისი მისხალი ჩაბარებს. ეს ქალი მე წოდებულს
მისში რინხე მისამლოშ. ამისი დედა და
ძმა აქ ხიზნათ იმყოფებოდნენ. მსეც ქმარს
გამოეკოდა და აქ დღდასთან ცხოვრებდა.
მაგრამ ამ უბ ღურს ძმა შინ წასვლიდა,
ამდროს დედამისი ავით გამხდარყოფ და საქა-
რთველოს ქირი წავლა. მე მიმიწვიეს მის და-
სასაფლაველად. მცხედარი გამოეტანათ გო-
მიდა, რომელშიაც, მეთხველი, გაუღიდ-
დლათ გეტყუა, სრულდით არ შესესვლიდა.
ამისათვის, ინგილოს დედაცები რომ მიხუ-
ლიყენენ სამამარზე, ის კარში გამოეტანები-
ნათ. მიცვალბულს ისეთი ფერი ეღვა, რომ
ის ადამიანი არ გვეგონებოდათ. ის იყო ძო-
ნძებში განხვეული და ჰგვანდა ყმაწვილების
„ტოკინს“. წესი აქვე უფე. სახლის პატრონმა
ინგილომ სასურლოთ სამი ადლი უბრალო
თფირი ხამი აჩუქა. შემდეგში ექესმა ინგი-
ლომ ასწიეს და წავილთ, დეასაფლავეთ. მე
აღარა მსურდა ამ სახლში უკან დაბრუნებ-
მაგრამ ინგილოების ჩეელებმა ნება არ მო-
მცა. მე გამომეცა იმ კაცის სახლში ხუთი
ექესი კაცი. ინგილომ ჩეელებსამებარ მი-
ცვალბულს სამადლოთ დედაცებოსაც და
კაცებსაც სადლი გვაქვამა და ჩვენს სახლამი-
ნაც მიმაცვლებინა. ორ კვირას შემდეგ მე
ისევე მომიხდა ამ ინგილოსს მგზავრობიდა
შესვლა; იგი არის მუხლმანი. ამ ქალის ძმა
მოსულყოფ. დედა მეკვარი დახვედროდა და
ეს თავისი გვიყ აეთა. ის თურმე, როგორც
მიამბო სახლის პატრონმა ინგილომ, სა-
ხლზე ასულიყო, ქათმის კეკრცხის ჩამოსაღე-
ბათ, ჩამოვარდნილიყო, დამტერეულიყო და
ავითმყოფობდა. შაი თქვენს თავს სიღარიბე
და უმეტრებზე რამდენი კაცი დამაღალემა
თქვენის ძალით.

— მაგრამ თავი დავინებოთ ამ იერებიადა-
მას და ის ვითხოვთ: ვითარა უტყვირანთ თა-
ვინათ მდგომარეობას ეს ინგილოებში გამო-
თხოვილი ქიზიყელი ქალები? უხარანთ, რომ
ისინი აქ გამოთხოვილან? სრულებითაც არა.
ეს ქალები ძლიერ ემღერინათ თავის ქვეყანას.
წყვედა-კრულდას არ იშურებენ იმათთვის, რო-
მელთაც ისინი აქ გამოათხოვენ და რამე-



ლოაც აქ იხივებს. თუმცა ესენი ამ ქვეყნის საკმელ-სასხელს ემადლიერებინ, მაგრამ ეპარქიულინი არ არიან თავიანთ მდგომარეობაშია. აი, ერთი ქიზიყელი გონიერი, მაგრამ დანაგრეული, ქალი თავიანთი მდგომარეობაზე რაგვარათ ღაღადებდა: „ღეთის რისხვის ზარი იმით თაქა, ვინც ჩვენ აქ გამოგვათხოვა; ვინც ჩვენ ქვეყანას მოგვავარა და ამ ცეცხლში ჩაგვყარა. ჰუჯუნ შემოლილი ის ქიზიყელი, რომელიც აქით ქალს ისტუმრებს. ინგლოები, განაგრძელა იმან, ჩვენ თავიანთებურათ ტანისამოსს გვაცემენ, და რადგან ჩვენ მას სიმე-წილი დავაგვარა არავათ შეჩვეულნი, ამისათვის ჩვენ იმას ვერ ვფიქრებთ და მით თავს ვერ ვიმშვენიერებთ. ამისგამო ინგლოები ჩვენ დაგვიცინიან, ჭკუქვიანს და მურტალს გვეცხიან და ჩვენ გამოცხობილ პურს შიშით სჭამენ. შევლანი სახლში გვეტრძვიან და ამით ცდილობენ, რომ თავიანთებურათ რამე გვენაწყოლონ; მაგრამ ისე არ იციან ამ დალოცვილის შეილება, რომ ჩვენი ქიზიყელი ქალი ამით ისაგრება და უფრო ცუდდება“. ეს ქალი უფრო ეძღურადა თავის მახლის ცოლს, ინგლოს ქალს, რომელიც მას თურმე მუდამ ეჩხუბება და ჰჭარავს, არაფერში არ მოსწონს და ჭკუქვიან ქართლის ქალს უწოდებს. — ეს ყველაფერი ამ ქიზიყელმა, მართლაც დაჩაგრულმა და გატულებულმა ქალმა გამოხატა იმ მიზეზისა გამო, რომ ქალებმა მოაყოლეს ლაპარაკი, რომ მის, ესე იგი ქიზიყელი ქალის შერთვა მსურს; მაგრამ საკმე ის არის, მართალია ეს საძღურაგი თუ ესამართლო ამ ქიზიყელი ქალის საძღურაგი თავის მახლის ცოლზე-ინგლოზე—როგორც კვერი და ჰკრეს ქალებმა ჩვენ სახლშიაც, საფუძელიანი იყო. ეს მახლის ცოლი მართლაც თურმე ამ გვარი ცეცხლ მოდებოდა. მაგრამ თითოა ამის მიქცული ქალი როგორი იყო! უტყველია, რომ ის ნიჭიერი ქალი არის და ცოლათ არ დარჩენილიყო და სიღარიბეში არ ჩაეპარდნილ იყო, პატროსანი აზრისა, მიმართულებისა და ოჯახის მომცელი იქმნებოდა და არ იქმნებოდა დანაგრეული, მხლართის ის ისრითი არ არის. ის თუმცა ენაგვამ-ჭიხინი ქალი არის, მაგრამ ლაპარაკშივე ეტყობოდა, რომ ის ესღა კვებარაობის მტერი არაფერი იყო, და არც სიწმინდე უყვარდა. ის იყო ინგლოური. ტანისამოსში გამოხევეული და ტულისის ქალაქის ბიჭების კისერზე

მოხევეულ შარფებით, ლეჩაქი როგორღაც კოსტრზე ჰქონდა მოხევეული და მერე ერთი წვერი თოვზე ჰქონდა გადმოფარებული; ამისაგამო უფროსათაც საძველ და დედა-კაცის გამოუმგზავსებელ ტანისამოსით ის უფრო გაუმგზავსებელიყო. მე ჩემს ფიქრში არ მოვეტუედი. იმან აქვე დამამტკიცა თავისი უწმინდურება. ჰუჯუნში ყმაწვილი ეჭირა. ის აქ კალთაში დედამ კარში გაიყვანა—გაბანა და შემოიყვანა. მაგრამ თავისი კალთა და კლავი ისრე გაერეცხნა, რომ უწმინდურება და ჭკუქვიანი წიფი წყალი ზედ ეტყობოდა. მართლაც რომ ეს აქ უფრო გაფუტქმული იყო. მომარტებული თავის ქვეყანას, თავის ტრალს, ყმაწვილობის მგობრებს, გადმოტყარცნილი ბელისაგან უცნობ ქვეყანაში, ეს უფრო წამხდარ იყო. თავის სამშობლოში, რომ გათხოვილი იყო, ტრალისა და ახნადაგის შერცხვებოდა, სიფაქისე უფრო გაედევნებოდა და ეცდებოდა მით თავის გამოჩენას. ბბა აქ კი სხვათა უცხო ქვეყანაში გაუნათლებელ ქალს ეყრფერი ვერ წააქიხებდა სიფაქიანაზე და სახლისათვის რიგაანთ მოვლაზე, უფრო ამისათვის, რომ ამს ყველანი უჯარაგებინან და არაფერში მოსწონთ. ბი ეს არის კიდევ ერთი იმ მიზეზთაგანი, რისა გამო მე უარს ვამბობ ქიზიყელ ქალების ინგლოებში გამოთხოვებზე.

თითი ინგლოც სისწრაულით არ ირთავს მზივის ქალს ცოლათ. რა არის მიზეზი? იმის ვარდა, რომ ის აქაურს ცხოვრებაში გამოუუსადგვია, ის არა სურს ინგლოს ამისათვის, რომ მას ჯერ სხეებიც, ესე იგი ან მძა, ან და, ან სხვა ვინმე მოაკვებინოს ხოლმე, რომლებიც შენახვაც ინგლოს ცოლის ხათრის გულისათვის კისერზე ვეღათ ედებს; მერე ამისათვის, რომ მოყვრებს რაც დასკირდებოთ, მაშინვე აქ მოარბიან და ამით აწუხებენ; ინგლოს კიდევ მიზიყარობა ძლიერ ეჯერება. მე მრავალი ვიცი მაგალითი, რომ ინგლო ამ თხოვარობისათვის შემოაწყარამოდეს თავის ქიზიყელ მოყვარეს. მაგრამ ეს კი უნდა მოგახსენოთ, რომ მას თითო კი ძლიერად სურს რომ დასახუქრონ. მას ძლიერად ღელათ თავი მოაქეს და მოსწონს, თუ კი მას საჩუქარი ექმნება მოყვარესაგან. მაგრამ ყველაზე უფრო მტრით ის არის გასაკიცხავი, რომ თუ ქიზიყელ ქალს ქმარი ინგლოთაგანი მოუყვდა, მაშინ იმას სახლოდგან უთუოდ განსდენიან

ინგლოები და ეტყვიან: საჭირო აღარა ხარ, და საითაც გსურდეს, იქით წაშანდიო. ამ გვარი მაგალითები ერთი და ორი არ მომხდარა ჯერ მართლაც. შორაღანში. მზივის ყელს ქალს ქმარი მოუყვდა და მერე ინგლომ შესევა ურეშზე და ჩააბარა მზივის თავის პატრონს. ჩემს კიოხეზე: ასრე უკაცურად რათ მოიქციეთო! იმით მიმასხუებს: ამი ბედსათვის, რომ ის ღუპავდა ჩვენს სახლსაში. პური გამოცხვარი რომ გახმებოდა, იმას მიჰქონდა და ორმოში ყრიდაო, შემდეგში სხვაგვარასმენაც სახლოდამ იპარავდა და ყველაფერს ერთათ აგროვებდა, და მერე მძა რომ მოვიტოვებოდა, ყველაფერს მზივის ბაგანდაო. მაგრამ, როგორც მე შევიტყე, ის ინგლო ტყუელია და უსამართლოთ მოჰქცოდა ქიზიყელ ინგლოს ქერიეს. ამ გვარი უსამართლობა, სხეებზეც ბევრმა მოახდინა; მაგრამ, მკითხველნი, მას კი ნუ იფიქრებ, რომ ესენი ინგლოც ლოს ტომის ქალსაც ასრე ეპყარობდნენ. თუ მას თითოც არა სურს სახლოდგან გასვლა ინგლო არაოდეს არ ეტყვის: წადიო, და პირიქით შეუტყვევებს ქერიეს, რომ ის არ გათხოვნი დღეს. თუ შემთხვევა მოხდა, რომ ქერიეს ცქამამ მისი გათხოვება ისურვა და მას კი არც სურს გათხოვება, მაშინ ინგლოს ძლიერ ეთავიკლება თავის რძლისათვის არ წასარჩლებებ. მაშასადამე ამ გვარი ინგლოების გარჩევი უღობია და უსამართლოთ მოაყვარა ქიზიყელ ქალებისათვის მაგრამ ინგლოს ქერიეებისათვის, ძლიერ გასაკიცხავი არის.

მაგრამ მხოლოდ ქიზიყელები არ არიან სიღარიბისა გამო ამ მდგომარეობაში ჩაყვრილნი. სხვანაც ბევრნი დაბეჭვიწილან და დღესაც საც მიხევეწვიან თავიანთ ქვეყნის და თავიანთ სისაწყლს. ეს სხეები თუმცა აქ არ არიან, მაგრამ სხვაგან მრავლნი იმყოფებიან. ზეი მ-გალითერ პეტრეოლები, რაკეტელები და ისეთი მოკლები ძლიერ ბევრნი არიან მახეთში, მარაზულში და შალაქში. მაგრამ ეს კი უნდა მოგახსენოთ, რომ ესენი თავიანთ გულით, ხასიათითა და მარდობით ქიზიყელებისაგან განსხვავდებიან. ბე მასლოც ქიზიყელები თითქმის მოკლები არიან თავმოყვარებას, რაც გამო ისინი არაოდეს არ ცდილობენ, რომ იმის სხვა ტომის კაცს გაეეზობინონ საკმელ და დემგობინონ. ისრეთინი არ არიან იმეორებენი ისინი მრავალნი არიან ზემო მოსხენებულნი სახლოებში, მაგრამ ყველანი განირჩევიან, რათათ



როცა ამაყობით, აგრეთვე მხნეობით. იმერ-
 ლს რომ დაუწყო ჯიბრობა, ის მაშინვე გეტ-
 ბის: „აა რა კაცი ექმნებო, თუ მე შენ
 ვარ გავაბე; აა შენ რომ მე დამკრა, მე
 ვე შენ ვერ დავკრა, მე რა კაცი ექმნები“;
 აზიუელი კი ამ შემთხვევაში გაქცილის
 უსულით ამბობს: „რა ვქნა, დაბალ ღობეზე
 ეყვალა ადვილათ გაღვლილს.“ მართ სიტყვით
 მერელს ფოლადი აქვს, ქიხიყელს არა. იმე-
 რლები, მოსულნი მართლში, ძახეთში და
 მფილისში, როგორც ვიცო და შემიტყვია,
 ის შეფერება უცოდინარს, უფილან ვენა-
 ნებს, მხნეთ ირებები; მაგრამ ამ კატეგორი-
 ას ქიხიყელები კი ზარამცნი არიან. პირვე-
 ლების მხნეობას ამტკიცებენ ტფილისის „მე-
 ლურტენ“ იმერლებიცა. შემშარტათ, რომ მა-
 ზაზე ვერაინ იტყვის, რომ ისინი გაურჯე-
 ნი იყვნენ. არა, ძლიერ ირებებიან და მხნე-
 უ არიან, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროთ, მათ
 სიამოვნო ხელობა აურჩიევით თავიანთ
 უტკისათვის ღლემა ჰურის საშოვნელათ,
 ღუმცა ესენი არც აქ არიან დასაძრახისნი,
 მისათვის, რომ ეს ამ გვიარი ხელობა ამ
 უცოდინარობისა გამო აქეთ არჩიულთ. მთ
 მეურტერნობის“ მდგომარეობა, ღლეტის შე-
 მფერათ, გამოსიქეა ი. შვეკვიძემ „საქარ-
 მხელას მოამეში“ 1863 წელს (იხ. პირ.პ.შ.ში).
 მისი მეტს ამ სიღარიბისაგან გამოქცეულს
 მერელზე არაის არაფერი უთქვამს, როდენ-
 ც რომ ღირდა ამათზე ღაპარაკი. მე ქალა-
 ში მყოფ იმერლებზე ეხლა მხოლოდ იმას
 ტყვი, რომ ესენი ზოგნი ერთს, ზოგნი ორ
 ელწოდს რჩობან აქ. იგებენ ფულეებს, მერე
 შაქეთ იმერეთში სახლში მოსახმარებლათ,
 როლოს რომ მოარჩებიან ამ ფულეებს, მაშინ
 მეგ ჩამოიდან ტფილისშივე. აი სწორეთ ამათ-
 მათი სიღარიბე ქიხიყელ კაცსაც იძულებულს
 შოფებს, ხან ზაქათაღის მაზრაში მოედებს
 მარბროსათის, ხან უტუქტეს მთხეშივე.
 (შემდეგი ექნება).

ს ა ა ნ გ ა რ ი შ ო რ კ ო დ ნ ა, ა ნ პ ი რ-
 მ ე ლ და ყ ე ვ ბ ი თ ი ა რ ი თ მ ე ტ რ ი ა.

ჩვენს შინა ცხოვრებაში განსაკუთრებით
 რთულთ და სოფლათ ანგარიშის მცოდნე
 კაცი ძვირათ მოიძებნება. ხუთი ექვსი ბათი-
 სანი ნაშუშავარი რომ ვაკაიდას, იმის ფასის
 ანგარიშს ჩვენი ზოგიერთი სოფელი ერთს
 ათასს მოკლდება. შუგრა ხშირათ მოკლდება,

რომ ამ მცირე ანგარიშშიაც მოსტყუებდნენ
 ხოლოც გამოადვი; და მდიდელი, რაკი თელს
 მოაცილებს, დასკინის, ვაი საწყალი როგორ
 მიატუტევეო. ანგარიშის ცოდნა მიუცლო-
 მელი საჭიროა ყველასთვის; ამიტომ რომ ის
 უხსნის გონებას და ოჯახობაშიაც უფისათ
 ცხოვრება არ მოხერხდება. ჩვენს საუბედუ-
 რათ აქამდის ქართულს ენაზე ხშირინი სა-
 ანგარიშო წიგნი არა ვგაქვს: ერთია მსულა-
 შვილის და შიფინისგან შედგენილი, მაგრა
 სასწავლებლათ ვერ არის კარგათ მოხერხე-
 რბმული. რა რომ კაცმა განსაჯოს, ანგარი-
 შის მასწავლებელი წიგნი თითქმის ანაზნე-
 დს უფერო საჭიროა. ამისთვის ჩვენ საჭი-
 რით შევირახეთ „სასოფლო მაზეთში“ გე-
 კლათ ხოლოც საანგარიშო ცოდნა ადვილ
 გასაგებათ, რომ იმისი კითხვა არამც თუ პა-
 ტრია ყმაწვილებს აეარჯისებდეს ანგარიშის
 მწოდლებს უფრთვეთ თელ-ფური ადვილ
 „სასოფლო მაზეთში“ დაბეჭდილს-საანგარი-
 შო ცოდნას, რომ თითონაც ეარჯისობდნენ
 და ყმაწვილებიც აეარჯისონ ანგარიშში.
 ბეგრი იმისთანა შკოლა-დასრულებული კა-
 ცებია ჩვენში, რომეღნიც ხალხიან დახლო-
 ებებულნი არიან და ჰზრდიან კიდევ ჩვენს
 სოფლის ახალგაზრდას და არ იციან აქამო-
 მდ, ქართულათ მოხერხდება ანგარიში თუ
 არა. იმათ უსწავლიათ სა ნგარიშო ნიშნების
 წერა და იძახიან: ეს ხომ რუსული საანგარი-
 შო ნიშნებია და არა ქართული. მაგალი-
 თად, აი ეს ნიშანი რომ დაუწერო: 2; ისი-
 რი იტყვიან, ეგ „ღვა“ არისო, რომელიცა
 რუსულს ენაზე ნიშნავს „ორს“. ხამის ნიშ-
 ნი რომ დაუწერო, მაგალითად, 3; ხამს ხომ
 ვერ ათქვიენენ. ის იძახის „ტრი“ და სხვა.
 ასე ჰგონიან, რომ ეს ნიშნები მართლაც
 რუსული იყოს და მხოლოდ რუსულად არა-
 მოთქმოდადეს. ეს საანგარიშო ნიშნები ანა-
 ბებს მოუფგონიან და რადან დარწმუნებუ-
 ლან, რომ ეს ნიშნები საუცხოვრათ გამოხა-
 ტენ ყოველს გვარს რიცხეს, ამისთვის ყვე-
 ლა ხალხს შემოუღია ამ არაბული საანგარი-
 შო ნიშნების წერა. მაგრამ ნიშნებს კი ყვე-
 ლა ხალხი თავისებურათ ეძახის. მაგალითად

დაესწერათ ერთის გამოხატეული ნიშანი,
 აი ეს—1; თვითონ ნიშანი არაბულია, მაგ-
 რამ სახელად ჩვენ ეძახით ერთს, რუსები
 აღინგარიშავებენ ეძახოდნენ უნუს, ფრანკულე-
 ბი უნ, ნემეცები ვინ, სომხები მექ და ყო-
 ეელი ხალხი თავისებურათ ეძახის. ორის გა-
 მოხატეული ნიშანიც ვერა. დაესწერათ 2.
 ჩვენებურათ ამას ჰქვია ორი, რუსულათ ღვა
 სომხურათ ვრუქ და სხვა. ისე ნიშანი 3 არის.
 ჩვენებურათ ეძახით ამ ნიშანს სამი, და რუსუ-
 ლათ ტრი. მაშ რადესაც ესწერათ ამ საანგარი-
 შო ნიშნებს: 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10.
 ასე კი არ ღვა ეძახოდნენ: აღინ, ღვა, ტრი,
 ჩეტორე, პატრ, მესტ, სემ, ვოსკე, დეისტა,
 დესიატ. არა. ეს რუსული იქნება. მართუ-
 ლათ იმ ნიშნებს ეძახიან: ერთი, ორი, სამი,
 ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა ცხრა, ათი
 და სხვა. მაშ ჩვენნი განათლებული კაცებისთვის
 და ქალებისთვისაც დღი შეცდომა, როცა
 ლოტოს თამაშობენ და ციფრებს, ანუ ნიშ-
 ნებს რუსულათ იტყვიან ხოლოც. რათა. მარ-
 თული სახელი დაუძახონ, ის არა სჯობიან!
 ამოიღებენ ლოტოს კენჭსა და თუ ზედ აწე-
 რია ეს ნიშანი 5, იტყვიან პიატდესიათ პიატ.
 ის უფრო კარგი არ არის შენს ენაზე რომა
 სიქეა, რომოცდა თოხმბეტი და სხე. შუგრა
 სწორათ გამოთქვამ და უფრო რიგინიც იქ-
 ნება. მაგრამ ამების მხოლოდსათი დანეც-
 მათ და ისევ ჩვენს საქმეს დაუბრუნდეთ.

ამ სახით ჩვენს გვიანდა ახლა დაბეჭდოთ
 ხოლოც საანგარიშო ცოდნა, ისე რომ ადვილ-
 მისახვედრი იყოს, გონების გამხსნელი და
 კარგი ავარჯისებელი. ამისთვის ხელსამძღე-
 ნელათ ავარჯისევა ერთი წარჩინებული ნემე-
 ცური მასწავლებლის საანგარიშო წიგნი,
 რომელიც მთელს განათლებულს ქვეყანას
 საუკეთესოთ მიაჩნია.

იმის აზრის თანახმად ჩვენ თითო სასოფ-
 ლო ბატონს ნუმერში თითო რიცხეს ავიღებთ
 და დაიწყოებთ იმაზე კითხვა-მიგებით ვარჯისო-
 ბას. მანებობლათ ამ ერთს რიცხეს მრავალ-
 ნარიათ, რომ უფრო ჩაბეჭდოს კაცს და უფრო
 შესამეცნებელი იყოს ეს საანგარიშო სწავლა.

ამისთვის ვერ ავიღებთ რიცხეი ექვსი
 და მოკვეთთ იმის ვარჯისობას.

ექვსი.
 ამ რიცხვის ნიშანიც ეს არის 6.
 მასწავლებელი აიღებს ხელში ექვს ქვას
 და იტყვის:—ხელში რამდენი ქვა მაქვს?—



მოაწუფე. — მქესი, მერე თვითონ მოაწუფე გამო-
ართმევს მასწავლებელს იმ ექვსს ქვას და
დაწყოებს ჯერ ორ — ორს. — მქესს ქვაში ორი

ქვა რამდენჯერ გამოვა? — მოაწუფე. — სამჯერ.
— სამჯერ ორი ქვა რამდენია? — მქესი.
შემდეგ ყმაწვილს დაწყობინებენ სამ-სამ ქვას.
სამი და სამი ქვა რამდენია? — მქესი. —

მქესს ქვაში სამი ქვა რამდენჯერ გამოვა?
— ორჯერ. — მაშ ორჯერ სამი ქვა რამ-
დენია? — მქესი.

მერე ექვსიდან ორს ქვას ალებინებენ და
ეტყვიან:

მქესს ქვას რომ ორი მოეკლო,
რამდენი დარჩება? — ოთხი. მქესს ქვას რომ
ოთხი წყარითა რამდენია დარჩება? —
ორი ქვა დარჩება. მაშ ორი და ოთხი
რამდენია? — მქესი. მქესი ერთ ნაკელ რამდენ-
ია? — ხუთი. — ხუთი ერთ ნაკელ? — ოთხი.
ოთხს რომ ერთი გამოალო? — სამი. — სამს
რამდენი უნდა მიემატოს, რომ ექვსი გახდეს?
— ოთხი. მართს რამდენი აკლია ექვსამადს?
— ხუთი. ორი, სამი და ერთი რამდენია?
— მქესი. — ოთხი ორ ნაკელ, მიემატე ოთხი
რამდენია? — მქესი.

— ამისთანა ვარჯისობაში მოაწუფეს
ექვსი ქვა ყოველთვის წინ უნდა ეწყოს
და; როცა გაუჭირდეს მიხედვით, მაშინვე ქვე-
ბის ალებით და მიმატებით ნათლად უნდა და-
ანახოს ანგარიში და კითხვა მივებინოს ყმა-
წვილსა.

ამას შემდეგ თუ მკადა-ქვის ფიქარი (ac-
пидная доска) აქვს ყმაწვილს საწერათ, იმაზე
უნდა ჩამოასმებინოს მასწავლებელმა ექვსი
ხაზი; თუ ეს ფიქარი არ ექმნა, ძროხის ბეჭე
უნდა იზონება ყმაწვილმა და ზედ თავმო-
წერი თხილის ჯობით გაავლოს ექვსი ხაზი
და, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, ისე უნდა
ავარჯისოს.

მასწავლებელი სწრაფად დააფარებს ხელს
რამოდენსამე ქვას იმ ექვსს ქვაში და ჰკით-
ხავს: მინ გამოიკნობს ხელქვეშ რამდენი ქვა-
ახლა? — ახლა? (რამდენსამე ქვას აიღებს).

მქესს რამდენი ქვა აკლია? — ყმაწვილმა ამის-
თანა კითხვებზე ყოველთვის უნდა მიუგოს.
ჩვენ აქ დავსწერთ მხოლოდ მასწავლებელის
კითხვებს; მიგება ხომ ვასაკორ არ არის ყმა-
წვილისთვის და, თუ გაუჭირდა მასწავლებელ-
მა ქვების ჩვენებით უნდა მიახედვროს. თეი-
თონ კი არაოდეს არ უნდა ასწავლოს მიგება.
საქმის არის, რომ ამისთანა კითხვებით ყმა-
წვილი ფიქარში ვარდებს და ვინცის აზრო-
მებს, ავარჯისებს. **მთ** კი ყოველ გაჭირებე-
ზე უთხარი ყმაწვილს ამდენა და ამდენიაო, მა-
შინ ხომ ყმაწვილიც დაჩვენებ: „რომ მე ვერ
მიეუფო, თვითონ მასწავლებელი მეტყვისო“. **და**
ისე აღარ ეტყება მასწავლებელის კითხ-
ვის გამოცნობასა.

მთ მასწავლებელს კავიეები ექნება, იმაზე
ვარჯისობა ძალიან კარგია.

მინ იტყვის, ამ ექვს ცალ-ცალ კავიეებში
რამდენი სამკავიეიანს მომცემენ?

ორკავიეიანს რამდენს მომცემენ?
(შუღს ჩიენის აზრით ორგვარი მნიშვნელო-
ბა აქვს. **ორი** კავიეი, ერთი მანეთი, ასი მა-
ნეთი, მილლიონი, ერთი გრაში, ამაზეს საზო-
გვალოდ ფული ჰქვია; მაგრამ ფულს კიდევ
სხვა აზრით აქვს. მრთკავიეიანი ფულია.
ორკავიეიანიც ფულია; მაგრამ მომცემებული
ყალიბისა. სამკავიეიანი, შაურიანი, უხა-
თუნი, აბაზი, მანეთი, ესენიც სხვადასხვა
ყალიბის ფულია. ამ აზრითაც ვიხმართ ხოლ-
მე აქ სიტყვას ფულს და მკითხველმა აქ
აზრით უნდა მოგვისმინოს). მასწავლებელი,
რამდენს ორ ფულში შეიძლება ვასცალოს
კაცმა ექვსი კავიეი? — მოაწუფე. **ორს** სამკა-
ვიეიანში.

— რამდენს სამს ფულში ვაიცვლება ექვსი
კავიეი? — სამს ორ კავიეიანებში. — მანა შე-
იძლება, რომ ექვსი კავიეი ხუთს ფულში
ვაიცალოს? — შეიძლება: ოთხი თითო კავიეი
ექვსება და ერთი ორკავიეიანი.

— ბუზს რამდენი ფეხი აქვს? — ცხენს და
ცხენასანს ორთავ რამდენი ფეხები აქვთ? —
ჩემს გომში ერთი უღელი თეთრი ხარი აბია,
ორი უღელი შავი ხარები, სულ რამდენი ხა-
რები? — ორი ხარი, ოთხი კამეჩი სულ რამ-
დენი ხარკამეჩია? — ისინი რამდენს უღელს
შეადგენენ?

— ურემში შეაბეს ყვეარი, მაგრამ ტერიოთ

ეცრ დასძრა, ერთი უღელი კიდევ დატოვდა;
სულ რამდენი უღელი დასძრა? — ამ ურემსა,
— მქესს ხეში ორი ქარმა მოსთხარა, მთე-
ლი რამდენია დარჩა? — მართმ. ყმაწვილმა და-
პატივა ექვსი თავისი ამხანაგი, სამი არ მოსუ-
ლა, მაშ რამდენი ეწვია?

— მითრემ იმეუფა ოთხი დღე, პეტრემ
კი ორი დღით მეტი; პეტრეს რამდენი დღე
იმეუფენია? მართმს ახუქეს ორკავიეიანი, სამ
კავიეიანი და კავიეი; ორი კავიეი თუ გლა-
ხას მისცა, თვითონ რაღა დარჩა? — ბუზს რა-
მდენი ფეხით მეტი აქვს ცხენარზე? — ცხენარს რა-
მდენი ფეხით მეტი აქვს ქათამზე?

მთხი და ორი რამდენია? — მქესი უსამოთ
რამდენია? — მართო, ორი და სამი, რამდენია?
— **მთხი** და ორი უსამოთ რამდენია?

მს ექვსი კავიეი მომიცია შენთვის; აქედ-
ან თითო კავიეობით რამდენჯერ მომცემ?
— **მრ** კავიეობით რამდენჯერ მომცემ? — სამ კა-
ვიეობით? — **მოს** კავიეობით? — **მრთუჯერ** და
დარჩება კიდევ ორი კავიეი. — ხუთ კავიეო-
ბით რამდენჯერ მომცემ? — **მრთ** ჯერ და და-
რჩება კიდევ ერთი კავიეი. — **მქეს** კავიეობით
რამდენჯერ მომცემ? — **მრთუჯერ**.

ბი პატარა ჯოხი; გავყოთ ექვს თანასწორ
ნაწილათ. თითო ნაწილს რა ჰქვია? — მეიქე-
სელი. — **მრი** ნაწილი რამდენი ავილოთ, რამდენს
მეიქესელს შეადგენს? — **მრს** მეიქესელსა. — ხო-
ლო სამი ნაწილი? — სამს მეიქესელსა. — **მთხი**
ნაწილი? — ხუთი ნაწილი? — **მქესი** ნაწილი
რამდენს შეადგენს? — **მქესს** მეიქესელსა. მთელ
ჯოხში რამდენი მეიქესელი გამოვა? — **მქესი**
მეიქესელი. ახლა ავილოთ მეორე ჯოხი წინა-
ნდელ ჯოხის სიძვე. მაყუთი სამ თანასწორ
ნაწილათ. თითო ნაწილს რა ჰქვია? —
მესამელი. ახლა ახლა შევიდართ მესა-
მელი მეიქესელსა; რომელი უფრო დიდია?
— **მექველით**, მესამელი. — **მელი** ორი მეიქე-
სელი და **შევიდართ** ერთს მესამელსა, რომ-
ელი უფრო დიდია? — **მანასწორია**. — **მაშ** მესა-
მელი რამდენს მეიქესელს უღლის? — **მრს** მეი-
ქესელსა. — **მართს** მესამელში რამდენი მეიქესე-
ლია? — **შევიდართ** სამი მეიქესელი და ერთი
მესამელი, ენათო რომელი უფრო დიდია?
— **შევიდართ** სამი მეიქესელი უფრო დიდია იქნე-
ბა. ახლა სამი მეიქესელი შევიდართ ორს
მესამელსა, რომელი უფრო დიდია იქნება?
— **შევიდართ**, ორი მესამელი. ახლა ოთხი მეიქე-
სელი ორს მესამელს შევიდართ?

(შემდეგ იქნება).